

XIX საუკუნის ხელნაწერში (A-1448) დაცული ცნობები სპარსულიდან ნათარგმნი ლიტერატურის შესახებ

რეზიუმე

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი A-1448 (1801-1862) წარმოადგენს ტარასი ალექსი-მესხიშვილის (1793-1874) კოლექციას. ხელნაწერში, სხვა საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, შეტანილია სპარსულიდან, ბერძნულიდან, სომხურიდან, რუსულიდან, ლათინურიდან და იტალიურიდან ქართულად ნათარგმნი წიგნების სია, რომლებიც ცნობილი იყო მე-19 საუკუნის საქართველოში და რომელთა ერთი ნაწილიც, სავარაუდოდ, ინახებოდა ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკაში.

სტატიაში შესწავლილია ხელნაწერში შეტანილი სპარსულიდან ნათარგმნი ნაშრომები: *ქილილა და დამანა, ამირნასარიანი, ქმნულების ცნობა, ზღაპრები გინა არაკებრი ისტორია, როსტომიანი, ყარამანიანი* და სხვ.

საკვანძო სიტყვები: *ტარასი ალექსი-მესხიშვილი, „ბიბლიოტიკა ქვათახევის მონასტრისა“, ქილილა და დამანა, ამირნასარიანი, როსტომიანი, ყარამანიანი.*

შესავალი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი A-1448 (1801-1862) წარმოადგენს ტარასი ალექსი-მესხიშვილის (1793-1874) კრებულს. ხელნაწერში, სხვა საინტერესო ცნობებთან ერთად, ჩამოთვლილია სპარსულიდან, ბერძნულიდან, სომხურიდან, რუსულიდან, ლათინურიდან, იტალიურიდან ქართულად თარგმნილი წიგნების ნუსხა (58v-61v), რომლებიც ცნობილი იყო XIX საუკუნის საქართველოში და რომელთაგანაც ნაწილი, სავარაუდოდ, ინახებოდა ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკაში.

სტატიაში გავანალიზებთ ხელნაწერში დადასტურებულ სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებებს.

ვიდრე უშუალოდ სპარსულიდან ნათარგმნი ლიტერატურის განხილვაზე გადავალთ, წარმოვადგენთ თავად ხელნაწერის აღწერილობას, მის მიმართებას სხვა წყაროებთან და ტარასი მესხიშვილის მოკლე ბიოგრაფიას.

კრებული A-1448

ტარასი მესხიშვილის კრებული A-1448 შედგება 96 ფოლიოსგან; კრებული დათარიღებულია 1801-1862 წლებით (მისი სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა დროს არის თარგმნილი და გადაწერილი); ხელნაწერის ზომებია: 21X33,5, შიდა აშია – 2; ქვედა – 3,5; ზედა – 2,5; გარე – 2. ხელნაწერი მხედრულითაა შესრულებული (დასაწყისი ასოები ზოგან ნუსხური და მრგვლოვანი), წიგნების სახელები და სტრიქონების დასაწყისები ასომთავრულით; მასალა – ქაღალდი (ცისფერი, სხვადასხვა, ამოვარდნილია: 7 ფ.; ნაწილობრივ მოცილებულია 2, 8 ფ.); ხელნაწერს აქვს მაგარი მუყაოს ყდა; ზოგან ჭვირნიშანი: 1824; კრებული შედგენილია ტარასი მესხიშვილის ხელით. ხელნაწერის 1r-ზე ფანქრით მსხვილი, კალიგრაფიული ასოებით წარწერილია: „ჩემი ჟურნალი“.

საყურადღებოა ხელნაწერში ჩამოთვლილი სია „ძველთა ქართველთ მთარგმნელთათვის...“, სადაც დასახელებულია 23 მთარგმნელი:

ძველთა ქართველთა მთარგმნელთათჳს წმიდათა მამათა და მეცნიერთათჳს, თუ რომელს წელსა, რომლის მეფის დროს, ან სადაურნი იყვნენ, და ამათ გარდმოიღეს ელლინურიდამ ს'დ საღ'თო წერილი.

ქ. წ' მამა ილარიონ ქართველი იყო მთარგმნელი, და გარდაიცუალა ქ'ეს აქეთ წელსა 882, ადარნასე (თავზე აწერია 49) მეფის დროს.

ქ. წ' მამა იოანე მთარგმნელი, მამა ექვთიმისა იყო, სუმბატ (50) მეფისა და კონსტანტინეს (51) ჟამს, წელსა 923, ქუწყანისაგან ტაოსა.

ქ. წ' მამა ექვთიმე მთარგმნელი მიიღუალა წელსა 1028, მეფობასა ბაგრატ (54) მეფის გიორგის მისასა, ამავეს ჟ'ა იყუნენ ეფთვიმე, იოვანე გრძელისძე, არსენი ნინოწმიდელი, იოანე ხახულელი ოქროპირი, ზაქარია მირდატისძე ანუ შატირისძე. ამავეს მეფის დროს იყუნენ ქართველნი ესე მთარგმნელნი, იოანე პატრიკყოფილი ფილოსოფოსი პეტრიწად ზედწოდებული და სტეფანე. 1069 წელსა.

ქ. მეფის (58) დავით აღმაშენებელის ჟამს, წელს 1116 იყუნენ მთარგმნელნი ესე ქართველნი, ეფრემ მცირე, თეოფანე, არსენი იყალთოელი, და იოანე ტარიჭისძე.

ქ. ბაგრატ (56) მეფის დროს იყუნენ: ბერი გრძელი, ახალი აბრაამ, არსენი, ანტონი მნათე. ვასილი ბაგრატის ძე. ევთიმეს მთაწმიდელსაც მოესწრნენ ესენი კ'დ იყუნენ ამისსავე მეფობაში: იოანე, ანუ ილარიონ თუალელი, მოძღუარი გიორგი მთაწმინდელისა, გიორგი შეყენებული მოძღუარი გიორგისავე, გიორგი და გიორგი ოლთისელი. ამავე მეფის მოწოდებით მივიდა გიორგი მთაწმინდელი მასთან ამ წელს ქ'ესით 1058 წელსა, და გარდაიცუალა გიორგი მთაწმიდელი კონსტანტინუპოლს ქ'ესით 1066 სსა წელსა.

კრებული H-108

აღნიშნულ მთარგმნელთა სია მეორდება ვახუშტის ხელით გადაწერილ კრებულში (H-108, 1750), „ქართველნი მთარგმნელნი წიგნთა“, სადაც დასახელებულია ასევე 23 პირი (149v-150r):

ილარიონ წ' მ	ა
ი'ე გრძელისძე	ბ
ი'ე მ'მა ეფთვიმისა	გ
წ' მ ეფთვიმე	დ
არსენ ნინოწმიდელი ეპისკოპოზი	ე
დორსი ი'ე ხახულელი და ოქროპირი	ვ
ნეტარი ბერი გრიგოლი, ახალი აბრაჰამ	ზ
ზაქარია შარიტისძე	წ
არსენ	თ
გიორგი	ი
გიორგი შეყენებული	ია
გ'ი მთაწმიდელი	იბ
ი'ე პეტრიკი ყ'ფილი	იგ
გიორგი ოლთისელი	იდ
სტეფანე	იე
დიდი ი'ე თ'ვლელი, მოძღუარი გიორგისა	ივ
ბასილი ბაგრატის ძე ხახულს მყ'ფი	იზ
პეტრიწი ფილ'სფსი	იწ
ეფრემ მცირე	ით
თეოფილე	კ
არსენი იყ'ლთოელი	კა
ი'ე ტარიჭისძე	კბ

არქიმანდრიტი ტარასი ალექსი-მესხიშვილი

ტარასი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილი იყო არქიმანდრიტი, მწერალი, კალიგრაფი, ბიბლიოფილი, „შესანიშნავი სახარების მკითხველი“. მან პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონის დავალებით გადაწერა „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები“, ასევე – ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“. 1825 წელს მან დაბეჭდა: ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა“. 1832 წ. ტარასი ალექსი-მესხიშვილი დააპატიმრეს შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, მაგრამ გაამართლეს და გაათავისუფლეს. ამის შემდეგ იგი დასახლდა ქვათახევის მონასტერში. არქიმანდრიტი ტარასი არა მარტო კარგი სწავლული და სასულიერო მოღვაწე, არამედ კარგი ორგანიზატორი იყო. მან იზრუნა განახლებულ ქვათახევის მონასტერში 1855 წელს ბიბლიოთეკის (წიგნოსაცავის) შექმნაზე, რომელიც მონასტერში არსებულ კალიგრაფიულ სკოლასთან ერთად საყოველთაოდ იყო ცნობილი. ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკისათვის არქიმანდრიტ ტარასისათვის წიგნები გაუგზავნია იოანე თარხან-მოურავს, ნაწილი თავისი წიგნები მიუმატებია, ზოგიც შეწირული ყოფილა მონასტრისათვის, ზოგიც იქ გადაწერილი. მან ეს წიგნები თახჩებზე დაალაგებინა, მცველად კი მიუჩინა იერომონახი გაიოზი, რომელიც განაგებდა ამ წიგნოსაცავს.

„ბიბლიოტიკა ქვათახევის მონასტრისა“

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ხელნაწერი Q-1438 სათაურით – „ბიბლიოტიკა ქვათახევის მონასტრისა“, აღწერილი 1855 წელში. მასში ჩამოთვლილია ის წიგნები, რომლებიც ინახებოდა ამ წიგნოსაცავში. ნუსხას აქვს ტარასი არქიმანდრიტის მინაწერი თავფურცელზე: „აქა აღწერილნი წერილნი რომელნიმე ჩემი საკუთარნი, სიყრმითგან მოგებული, რომელნიმე ჩემი სამშობლოს სახლისაგან გამოტანილნი, რომელნიმე ჩემი ხორციელის ძმათაგან მოსხმულნი და სხუანიცა. თავად იოანე თარხანოვისაგან ჩემდა წარმოგზავნილი პეტერბურგიდამ, დავსხსნა აქა, ჩემსა ნაღვანსა წიგნსა საცავსა შინა სახმარად ეკლესიისა და საკითხავად აქ მკვიდრთა მონაზონთა და ძმათათვის, რომელთაცა ენებოს წარკითხვა, რომელსამე წერილსა მოსთხოვდეს იგი მცველსა ამას ბიბლიოტიკისასა, მიიღებდეს სენაკსა შინა თვისისას, იხმარებდეს სიფრთხილითა და განურყვნელად ვინმემ იკადროს ამ მონასტრისაგან ერთი გატანა რომელსამე წიგნისა, სოფლად თხოვება, ანუ ჩუქება ვისადმე უნებურად წინამძღვრისა, სიტყვისმგებელი იყოს იგი წინაშე საშინელთა ცოდვათა ჩემთა წილ, ვინაითგან ქართველთა თვისებად სჭირდეთ, ითხოვონ და აღარ მისცემენ პატრონს, რომელსა შინა გამოცდილ ვარ მე, ვისაც ვათხოვე ჩემი საკუთარი წიგნი წასაკითხავად, შეითვისა და აღარ დამიბრუნა“.

ამ ბიბლიოთეკაში ტარასი არქიმანდრიტის კუთვნილი ყოფილა 74 წიგნი, 24 წიგნი ეკლესიის სახმარად ყოფილა გათვალისწინებული, 7 წიგნი შეუწირავთ მონასტრისთვის, ხოლო იოანე თარხან-მოურავს, რომელმაც ისედაც დიდი ამაგი დასდო მონასტერს (მისი სახსრებით განახლდა მონასტერში ცხოვრება), 84 წიგნი შეუმატებია. ასე რომ, ქვათახევის ბიბლიოთეკაში სულ 189 წიგნი ყოფილა თავმოყრილი.¹

¹ გულიკო მჭედლიძე, „ქვათახევის მონასტრის ისტორიიდან XIX საუკუნის ქართული ისტორიული მასალების მიხედვით“, მრავალთავი, 22, თბილისი, 2007: 336-345.



ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკა

ამათგან ზოგი, შესაძლოა, შევიდა კიდეც A-1448 ხელნაწერში ჩამოთვლილ სიაში სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი ლიტერატურის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღიურში ჩამოთვლილია ვრცელი ნუსხა ბერძნულიდან, სპარსულიდან, სომხურიდან, რუსულიდან, ლათინურიდან, იტალიურიდან ქართულად თარგმნილი წიგნების შესახებ, ზოგიერთ მათგანს მითითებული აქვს ავტორი, მთარგმნელი, თარგმანის დრო და სხვა საინტერესო ცნობები. აღნიშნული სია, სავარაუდოდ, გადმოწერილია დავით რექტორის კატალოგიდან, რომელიც 1810 წლის 26 სექტემბერსაა შედგენილი და იქ იდენტურ ნუსხას ვხვდებით, სავარაუდოდ, აღნიშნული ხელნაწერიც ინახებოდა ქვათახევის მონასტრის წიგნთსაცავში და სწორედ ამ წყაროთი ხელმძღვანელობდა არქიმანდრიტი ტარასი თავისი ნუსხის შედგენისას, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

სპარსულიდან ნათარგმნი ლიტერატურა

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ განვიხილოთ აღნიშნულ კრებულებში დასახელებული სპარსულიდან ნათარგმნი ლიტერატურა; ასეთი სულ 17 თხზულებაა:

1. **ქილილა დამანა** თოთხმეტი კარი მეფის თამარის დროს გარდამოთარგმნილი სპარსულისაგან ქართულად ქართველთაგან, ამბად და მაირად, და შ-დ მეფის ვახტანგისაგან გაჩარხული და ნაკლული აღვსებულო.

როგორც ცნობილია, ქართულად „ქილილა და დამანას“ თარგმანის ექვსი რედაქცია არსებობს. „ქილილა და დამანა“ თავდაპირველად მეთორმეტე საუკუნეში უთარგმნიათ, მაგრამ დაკარგულა და ჩვენამდე არ მოუღწევია. მოგვიანებით, უკვე მე-16-17 საუკუნეთა მიჯნაზე, კახეთის მეფე დავითს (გარდ. 1602), თეიმურაზ I-ის მამას დაუწყია ორი ეპისკოპოსის - ალავერდელი ფილიპესა და ბოდბელი ზაქარიას, დავალებით. ერთი საუკუნის შემდეგ დავითის თარგმანი ხელში ჩავარდნია ვახტანგ მეფეს. მან ისპაჰანში ყოფნისას, 1710-12 წლებში, თხზულების თარგმნა ჯერ ერთ სპარს მწიგნობარს დაავალა, შემდეგ 1712-14 წლებში ვინმე სომეხმა გააგრძელა თარგმანის შევსება, მაგრამ „ლექსი, სიტყვა და განწყობა ბევრი დააკლდა“. ამიტომ 1714 წელს მან ჯერ თავად გააგრძელა თარგმნა, შეუდარა სპარსულ დედანს და შეიტანა შესწორებები. მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგს მაინც არ აკმაყოფილებდა ეს რედაქცია და ამიტომ ხელახლა თარგმნა „ანვარი სოჰაილის“ რედაქციის „ქილილა და დამანა“. მისმა კარის მდივანმა - ონანამ კი ვახტანგის მიერ პროზაულად ნათარგმნი „ქილილა და დამანაში“ ჩართული სპარსული ლექსები ქართულად გალექსა, ხოლო დანარჩენი ნაწილი უცვლელი დატოვა. საბოლოოდ, ნაწარმოების გადმოთარგმნა-რედაქტირება სულხან-საბა ორბელიანმა დაასრულა 1716-1719 წლებში.

როგორც ჩანს, არქიმანდრიტი ტარასი და დავით რექტორი „ქილილა და დამანას“ თავდაპირველ, მეთორმეტე საუკუნის, თარგმანს იცნობდნენ, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

2. **ამირნასარიანი** მეფის ვახტანგისაგან ნათარგმნი სპარსულიდამ.

ასევე, ცნობილია, რომ XI საუკუნის სპარსული ლიტერატურის შედეგრი „ამირნასარიანი“ („ყაბუს-ნამე“) ვახტანგმა ჯერ პროზაულად თარგმნა, შემდეგ კი უკვე რუსეთში გადასახლებულმა გალექსა, რომლის სათაურია „წიგნი პირველი, ამირ-ნასარიანი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნი მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან და ბოლოს მოსკოვს მეფისაგანვე გალექსული“. ეს ლექსითი ვერსიაც გადაუკეთებია მოგვიანებით მეფე ვახტანგს. შესაბამისად, ქართულად „ამირნასარიანის“ სამი რედაქცია არსებობს და სამივე მეფე ვახტანგს ეკუთვნის. აქედან რომელ ვერსიას გულისხმობდა ტარასი ალექსი-მესხიშვილის თავის ნუსხაში, გაურკვეველია.

3. **ქმნულების ცნობა** მეფის ვახტანგისაგან გარდმოღებული ფიგურებით სპარსულისაგან და ტფილისს დაბეჭდილი.

„ქმნულების ცოდნის წიგნი“ ანუ „აიათი“ ვახტანგ მეფემ 1721 წელს თარგმნა.

4. სპარსულიდამ ქართულად თარგმნილი **ჯამი აბასი** გორელის გოგიჯანის შვილის გიორგისაგან ჟამსა დიდის მამაჲ ყეენისასა.

მუსლიმანთა სამართლის წიგნის „ჯამი-აბასის“ ქართული თარგმანი ეკუთვნის ფარსადან გორგიჯანიძეს (1626-1696).

5. **ომანიანი** სპარსულიდამ თარგმნილი ქართველთაგან.

როგორც დავით რექტორს, ასევე ტარასი ალექსი-მესხიშვილს სპარსულიდან ნათარგმნად აქვთ დასახელებული ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელება – „ომანიანი“, რომელიც, თხზულების ავტორის მიხედვით, „ზედ მიეზმის ამბავსა ვეფხისტყაოსნისასა“. თხზულების ავტორის შესახებ ცნობებს გვაწვდის არჩილ II. მისი მიხედვით, ომანიანი შეუთხზავს ვინმე

ქაიხოსროს. იგი უნდა იყოს ქაიხოსრო ომანის ძე ჩოლოყაშვილი, რომელიც თეიმურაზ პირველმა სიკვდილით დასაჯა დაახლოებით 1614 წელს. შესაბამისად, ომანიანის შექმნის თარიღიც XVII საუკუნის დასაწყისამდე უნდა ვივარაუდოთ.

6. ჩარ-დავრიშიანი თარგმნილი სპარსულისაგან.

შემდეგი სპარსულიდან ნათარგმნი წიგნია „ჩარ-დავრიშიანი“ – ძველი ქართული მწერლობის ანონიმური ნათარგმნი ძეგლი, საზღაპრო ეპოსი – ერთ ჩარჩოში მოქცეული მოთხრობების კრებული. თხზულება გადმოღებულია სპარსული ნაწარმოებიდან „ყისადე ჩაჰარ დარვიშ“, რომლის ავტორი დადგენილი არაა. სპარსულად მას მიაწერენ ხან ამირ-ხოსროვ დეჰლევის (გარდ. 1324), ხან პოეტ ანჯაბს, ხან მუჰამედ-ალი-მაჰზუმს. ის გადმოღებულია შემოკლებული სახით და მრავალ თავისებურებათა შეტანით დაახლოებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ყველაზე ძველი წყაროებია ნიკოლოზ ჩიჩიკაშვილის მიერ გადაწერილი 1778 წელს (A-860), და 1785 წელს გადაწერილი ვინმე ფარსადანის მიერ (S-2398 ლენინგრადი).

„ჩარ-დავრიშიანს“ მოსდევს ასევე ზღაპრების კრებულები:

7. **ზღაპრები გინა არაკებრი ისტორია** სპარსულიდან თარგმნილი.

8. კიდევ **ზღაპრები ისტორია** სპარსულიდან.

ნუსხაში შემდეგი სპარსულიდან ნათარგმნი თხზულება არის „როსტომიანი“:

9. როსტომიანი სპარსულიდან ნათარგმნი.

როგორც ცნობილია, „როსტომიანი“ ფირდოუსის „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების საერთო სახელწოდებაა და იგულისხმება „შაჰნამეს“ ის ქართული თარგმანები, რომლებშიც უპირატესად როსტომ ფალავნის ამბებია მოთხრობილი. ჩვენამდე მოღწეულია „როსტომიანის“ როგორც პროზაული, ისე პოეტური ვერსიები. პოეტური უფრო გვიანდელია, მისი წყარო – ქართული პროზაული თარგმანი, რომელიც, სავარაუდოდ, XV-XVI საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი, ატარებს „შაჰნამეს“ XIV-XV საუკუნეების ჩანართთა ნიშნებს. „როსტომიანის“ პირველი გამლექსავია სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილი (XVI საუკუნის პირველი მეოთხედი), რომელსაც პროზაული ტექსტით უსარგებლია. „როსტომიანის“ ბოლო ნაწილის გამლექსავს ხოსრო თურმანიძეს (XVI საუკუნის მეორე ნახევარი) ხელთ ჰქონდა არა ქართული პროზაული ტექსტი, არამედ სპარსული დედანი. მხატვრული გემოვნებითა და პოეტური ოსტატობით განსაკუთრებით აღსანიშნავია „როსტომიანის“ საბაშვილისეული ტექსტი. ამ შემთხვევაშიც არ ჩანს, რომელ ვერსიას იცნობდნენ არქიმანდრიტი ტარასი და დავით რექტორი.

10. ბაამიანი სპარსულიდან ნათარგმნი.

„ბაამიანი“ – ფირდოუსის „შაჰნამეს“ ერთ-ერთი გაგრძელების, პოემა „ბაჰმანნამეს“ (XII საუკუნე) XVI საუკუნის ანონიმური ქართული პროზაული თარგმანია. არსებობს „ბაჰმანნამეს“ გვიანდელი, როგორც პოეტური, ისე პროზაული (A-999, ნაკლული) ვერსიები. ზოგი მათგანი „შაჰნამეს“ ტექსტშიც მოხვდა ინტერპოლაციის სახით. „ბაამიანს“ საფუძვლად უდევს „ბაჰმანნამეს“ XV საუკუნის სპარსული პოეტური ვერსია. მასში აღწერილია სფანდიატის შვილის ბაჰმანის (ბაამანის) ან არდაშირის საფალავნო თავგადასავალი. ქართველი მთარგმნელი ზუსტად მისდევს ორიგინალს.

11. დიდი ბარამიანი გალექსილი შვიდს ამბად სპარსულიდან თარგმნილი.

იგივე „ბარამგურიანი“, რომელშიც მოთხრობილია სამიჯნურო თავგადასავალი ერანის ხელმწიფის ბარამ გურისა და ეკუთვნის ნიზამი განჯელს. ის შეადგენს ერთ-ერთ ნაწილს მისი „ხამსისა“, იგივე „ჰაფთ ფეიქარ“ (შვიდი მზეთუნახავი). ქართულად ნათარგმნია 16-მარცვლიანი რუსთველური ლექსით, მისი სრული სათაურია „ანბავი სპარსული, ქართულებრ ნათარგმანები, ქვეყნის მპყრობლისა ბარამ ხელმწიფისა და შვიდთა ქიშვართა ხელნმწიფეთა ქალების შერთვა და

ცხოვრება მათი“. პოემა ქართულად უთარგმნია ნოდარ ფარსადანის მე ციციშვილს 1655-6 წლებში.

სიაში კიდევ ერთგან გვხვდება „ბარამიანი“, ოღონდ ამჯერად თარგმანის წყაროს მითითების გარეშე: „გალექსილი ბარამიანი, ქართულის თავადისაგან გაკეთებული ქართულად.“

ორჯერ არის დასახელებული „ყარამანიანის“ თარგმანიც – მოკლე და ვრცელი ვერსია:

12.ყარამანიანი დიდი ზღაპრებრი ისტორია სპარსულიდან ნათარგმნი დავით სარდლის ორბელიანისაგან.

13.ყარამანიანი პატარა, სპარსულიდან თარგმნილი.

ყარამანიანის ავტორია ფირდოუსის ერთ-ერთი გამოჩენილი მიმბაძველი – აბუ-ტაჰირ-მუჰამედ ბენ-ტარსუსი. „სამოთ სასმენელი“ ეს თხზულება სპარსულიდან ქართულად უთარგმნია ერეკლე მეფის დროს თავად დავით ორბელიანს (1716-1796). თხზულება თარგმნილია 1762-1774 წლებში.

14.თიმსარი მეფის ვახტანგისაგან თარგმნილი სპარსულით.

თიმსარიანი – ინდური წარმოშობის არაკების კრებული ბრძენი სინდბადისა და შვიდი ვეზირის შესახებ, ანუ „სინდბადი და ქალთა მზაკვრობა“ (იგივე „შვიდვეზირიანი“). მეგლი ფალაური და არაბული გზით შემოვიდა ახალ სპარსულ მწერლობაში. კლასიკურ ხანაში შეიქმნა რამდენიმე პოეტური და პროზაული ვერსია, მათ შორის – ზაჰირი სამარყანდელის (XII ს.) ლექსნარევი პროზით დაწერილი „სინდბად-ნამე“. არაკებს ჰყვებიან ვეზირები, რათა უდანაშაულო უფლისწული სიკვდილისგან იხსნან. ამ ე.წ. „დიდ სინდბადს“ (არსებობს შემოკლებული ვერსიაც) უკავშირდება ქართული „თიმსარიანი“ (არაბულ-სპარსული „თამსილ“ ნიშნავს არაკს). თხზულების სათაურია „სპარსულისაგან თარგმნილი ქართულად ნეტარხენებულისა პატრონის მეფის თეიმურაზისაგან“. როგორც ცნობილია, თიმსარიანის მთარგმნელი არის თეიმურაზ II, ხოლო ჩვენს ნუსხებში მთარგმნელად ვახტანგ მეფეა დასახელებული.

15.მირის ისტორია სპარსულიდან თარგმნილი

აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება ე.წ. „მირიანი“, ზღაპარი, რომელშიც გადმოცემულია ჩინეთის მეფის შვილის მირისა და მალრიბის მეფის ასულის ნომიავთაბის სამიჯნურო თავგადასავალი. ზღაპარი ეკუთვნის სპარსულ ნიადაგზე აღმოცენებულ თქმულებათა ციკლს. კ. კეკელიძის მიხედვით, შესაძლოა, ის გადმოკეთებული იყოს სპარსელი პოეტის ესარ თაბრიზელის (1382) პოემის „მიჰრ-ო-მოშთერი“-ს საფუძველზე, სადაც ლაპარაკია მიჰრ-მირიანისა (მზე) და მუშთარის (იუპიტერი) მეგობრობაზე.

16.ჟარად შიხინისა სპარსულიდან ნათარგმნი.

ამ შემთხვევაშიც, სავარაუდოა, რომ იგულისხმებოდეს ნიზამი განჯელის „ხოსროვშირინიანის“ გვიანდელი გადამუშავებული ვერსია, რომლისთვისაც „ფარჰადშირინიანი“ დაურქმევიათ. ასეთია, მაგალითად, მოლა ვაჰში ქირმანელი (გარდ. 1583-4), საიდ-მოჰამედ ურფი შირაზელი (გარდ. 1591), მირ-ჰაყილ-კაუთარი, რომელმაც 1606 წელს შაჰ-აბასს უძღვნა თავისი „ფარჰადშირინიანი“, ნავაბ-აზაფხან ჯაფარ (გარდ. 1612) და სხვ. კ. კეკელიძის ცნობით, ამ „ფარჰადშირინიანის“ ერთ-ერთი რედაქცია ქართულადაც ყოფილა ნათარგმნი, თუმცა არ ვიცით, ვისგან ან როდის.

აღსანიშნავია, რომ ტარასი არქიმანდრიტის ნუსხაში აღნიშნული თხზულების სათაურია „**ჟარად შიხინისა**“, ნაცვლად შირინისა, მსგავსი შეცდომა ფიქსირდება ასევე დავით რექტორის კატალოგში, სადაც 120-ე ადგილას აღნიშნულია: „სპარსულიდან ნათარგმნი ჟარად-შიხინისა“.²

² Александр Цагарели, Сведения о Памятниках Грузинской Письменности, Санктпетербург, 1894: 258.

აქედანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ამ წყაროთი ხელმძღვანელობდა არქიმანდრიტი ტარასი და შეცდომაც მექანიკურად გადაიტანა თავის ხელნაწერში.

17. ფირმალიანის ისტორია სპარსულიდან თარგმნილი.

სრული სათაურია „მორჰმა-დიდებით ცხოვრება და მოქალაქობა ხელმწიფისა ფირმალისა და მისა მისისა აბულ ისაყისა“, ან „ამბავი დიდუნი ქალაქისა“. ზღაპარი ჩვენამდე შემონახულია ოთხი ხელნაწერით, რომელთაგან ერთი, თავში ნაკლული, გადაწერილია 1783 წ. კორნილიოს ჩაჩიკაშვილის მიერ (S 1145), მეორე – 1778 წელს, მესამე – მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს (S-2778) და მეოთხე – 1903 წელს (H-2069). ეს რედაქცია, კ. კეკელიძის აზრით, სპარსულიდან გადმოკეთებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა სპარსულ ლიტერატურაში ასეთი თხზულება ჯერჯერობით ცნობილი არ უნდა იყოს.

ყველა ზემოჩამოთვლილი თხზულების შემთხვევაში მითითებულია თარგმანის წყარო – სპარსული.

სტატიას კი დავასრულებთ „ვისრამიანით“, რომელიც, მართალია, არის ჩვენს ჩამონათვალში, ოღონდ თარგმანის წყაროს დასახელების გარეშე:

„ვისრამიანი, მეფის თამარის დროს ქმნილი დილარგეთის ბრძნის დავითის საათაბაგოელისაგან შვენიერს ენაზედ.“

როგორც ჩანს, XI საუკუნის სპარსელი პოეტის ფაზრ-ალ-დინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემის „ვის ო რამინის“ ქართული პროზაული თარგმანი (მართლაც „შვენიერს ენაზედ“ შესრულებული) ქართული ლიტერატურის იმდენად ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, რომ აღნიშნული ნუსხების შემდგენლებს ის ორიგინალ თხზულებად მიაჩნდათ.

ამრიგად, წარმოდგენილი ნუსხები შთაბეჭდილებას გვიქმნის, თუ რომელ სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებებს იცნობდნენ XIX საუკუნის საქართველოში, ზოგიერთი მათგანის შესახებ მოცემულია დამატებითი ცნობებიც, თუ როდის სად და ვის მიერ, ასევე, როგორ არის ნათარგმნი ესა თუ ის თხზულება, გარდა ამისა, რომელი ძეგლები მიაჩნდათ ორიგინალურ და რომელი ნათარგმნ ნაწარმოებებად.

გამოყენებული ლიტერატურა -References:

1. კეკელიძე, კორნელი. ჩარ-დავრიშიანი // *ქართული ლიტერატურის ისტორია*: ტ. 2: საერო მწერლობა XI-XVIII ს. ტფილისი, 1924.
2. მჭედლიძე, გულიკო. „ქვათახევის მონასტრის ისტორიიდან XIX საუკუნის ქართული ისტორიული მასალების მიხედვით.“ *მრავალთავი*, 22, თბილისი, 2007: 336-345.
3. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, IV. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1954: 536-552.
4. Цагарели, Александр. *Сведения о Памятниках Грузинской Письменности*. Санкт-Петербург, 1894.